ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4975424

ნომერი: AR1751587

თარიღი : 01.06.2020

გაცემის თარიღი : 05.06.2020

გაცნობის თარიღი : 08.06.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მიხეილ გახოკიძის ქუჩა, N 54გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე ურუშაძე პ/ნ 01008050556
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 12 ბ. 18

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: N 2494310
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 3.07.2018

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კონსტანტინე ურუშაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "გალფ"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 424613948
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ალექსი გუმაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 08001002728

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1687.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 766.66
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 5438.22
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 2723.67
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 203.71
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 867.39
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 588.74
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 142.04
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 912.67
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 14880.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 12960.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1920.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 39.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 36.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 766.76/1687=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 4198//1687=2.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 622.8/1687=0.4

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის საქართველოს მთავრობის №327 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 63-ე მუხლის იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრავს თუ რა სახის ცვლილების განხორციელებაა შესაძლებელი არქიტექტურული პროექტის კორექტირების გზით და რა შემთხვევაში უნდა დაიწყოს ნებართვის გაცემის პროცედურა თავიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ცვლილების თანახმად, სამშენებლო დოკუმენტის იმგვარი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს შეთანხმებული ობიექტის სართულ(ებ)ის განაშენიანების ფართობის ცვლილებას 20% მეტად, ან ობიექტის ფუნქციის ცვლილება, დაუშვებელია.

ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა დაწყებული უნდა იქნეს თავიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს წარმოდგენილი სახით პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, საჭიროა პირველ რიგში საკითხი დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით, ამისათვის კი უნდა აირჩიოთ შემდეგი ნომენკლატურა: "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები" > "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა" და "ობიექტის ფუნქციური დანიშნულების" ქმედებების ველში მიუთითოთ ახალი მშენებლობა.

აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ ითვალისწინებთ №3127993 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის კორექტირებას, აღნიშნული პროექტის სართულების განაშენიანების ფართობის ცვლილება არ უნდა აღემატებოდეს 20 %-ს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.